ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N1/

ქ. თბილისი **---------- წელი**

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ტენდერში გამარჯვებულთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციედლება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის _____ სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ 204525585, სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22; ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

_____

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1. ხელშეკრულების ღირებულება

შემსყიდველმა სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრებით გამოაცხადა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე (NAT _____) **შემოსავლების სამსახურის სარგებლობაში არსებული დოკლეველერების, კარი-ჟალუზების, შლაგბაუმების და შუშის სლაიდ-კარებების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (CPV50710000 - შენობის ელექტრო და მექანიკური მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება)** შესყიდვაზე და ტენდერის შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების დანართი N1.1 და დანართი N1 პრეისკურანტების შესაბამისად.

1.2 პრეისკურანტის ღირებულება შეადგენს ---------- ------ ლარს.

1.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **390 000.00 (სამასოთხმოცდაათი ათასი ლარი და 00 თეთრი)** ლარს.

1.4 ხელშეკრულების ფასი მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გასადასახადს, დაკავშირებულს მომსახურების გაწევასთან.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1.მომსახურების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე მიწოდებული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

2.2.3.სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფის უფლებამოსილი წევრი ან წევრები.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 **შესყიდვის ობიექტია შემოსავლების სამსახურის სარგებლობაში არსებული დოკლეველერების, კარი-ჟალუზების, შლაგბაუმების და შუშის სლაიდ-კარებების ყოველთვიური მიმდინარე ტექნიკური მომსახურება, რომელიც უნდა განხორციელდეს შემდეგი პირობების დაცვით.**

- მიმდინარე საექსპულატაციო მომსახურება გულისხმობს **დოკლეველერების, კარი-ჟალუზების, შლაგბაუმების და შუშის სლაიდ-კარებების** გეგმიური პროფილაქტიკური მომსახურების გაწევას და გამოძახების (შეტყობინების) საფუძველზე სისტემის ხარვეზიანი მუშაობის აღმოფხრის კუთხით განხორციელებულ მომსახურებას.
- გეგმიური პროფილაქტიკური მომსახურების გაწევა **დოკლეველერების, კარი-ჟალუზების, შლაგბაუმების და შუშის სლაიდ-კარებების** გულისხმობს ერთი თვის განმავლობაში ერთხელ შემდეგი მოქმედებების განხორციელებას:

შლაგბაუმების მომსახურება მოიცავს:

- თვეში ერთხელ ტექნიკური დათვალიერებას;
- მექანიზმების გაწმენდას მტვრისგან;
- შემოწმებას პროგრამულ პარამეტრებზე;
- ისრის რეგულირებას;
- სენსორების გაწმენდა/რეგულირებას;
- ზამბარის სიხისტის რეგულირებას.

კარი-ჟალუზების მომსახურება მოიცავს:

- თვეში ერთხელ ტექნიკური დათვალიერებას;
- მართვის ბლოკის რეგულირებას;
- ამწევი ბაგირის რეგულირებას;
- ზამბარის რეგულირებას;
- მიმმართველი გორგოლაჭების რეგულირებას;
- მექანიზმების გაწმენდა მტვრისგან.

დოკლეველერის მომსახურება მოიცავს:
- *თვეში ერთხელ ტექნიკური დათვალიერებას;*
- *მექანიზმის მტვრისგან გაწმენდას;*
- *ზეთის დონის შემოწმებას;*
- *მექანიზმების შეზეთვას (საჭიროების შემთხვევაში).*

შუშის სლაიდ კარების მომსახურება მოიცავს:
- *თვეში ერთხელ ტექნიკური დათვალიერებას;*
- *მართვის ბლოკის რეგულირებას;*
- *მექანიზმების გაწმენდას მტვრისგან;*
- *სენსორების გაწმენდა/რეგულირებას.*

არაგეგმიური მომსახურება: გულისხმობს მიმწოდებლის მხრიდან შეტყობინების საფუძველზე დოკლეველერების, კარი-ჟალუზების, შლაგბაუმების და შუშის სლაიდ-კარებების ხარვეზიანი მუშაობის მიზეზის დადგენას და მათ აღმოფხვრას. არაგეგმიური მომსახურებად ითვლება მხოლოდ იმ ხარვეზის აღმოფხვრა, რომელიც გამომდინარეობს სისტემის ჩვეულებრივი ექსპულატაციის პირობებიდან. ობიექტზე მისვლის და ხარვეზის გამოსწორობის ვადა უნდა შეადგენდეს შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს მომდევნო:
ა) 2 (ორი) სამუშაო დღეს თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრებში არსებულ ობიექტებზე;
ბ) 3 (სამი) სამუშაო დღეს რეგიონებში არსებულ ობიექტებზე.

4. მომსახურების მიწოდების პირობები
4.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან, მაგრამ არაუადრეს 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2 მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დანართი N2-ით განსაზღვრულ შემოსავლების სამსახურის სტრუქტურ ერთეულებში შესაბამის მისამართებზე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად, მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად.
5.2.იმ შემთხვევაში თუ, გაწეული მომსახურება შეესაბამება ხელშეკრულების გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს გაწეული მომსახურების მიღებას, ხოლო თუ, მომსახურების პროცესში გამოვლინდება, რომ იგი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარვეზის აღმოფხვრა მიმწოდებლის ხარჯით.
5.3. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების საფუძველზე არ განხორციელდა მომსახურების მიღება, მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) დღის ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების 13 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
5.4 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.
5.5. შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ამოწმებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის განხორციელების მიზნით მუდმივმოქმედი ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წევრის/წევრების მიერ ინსპექტირების განხორციელების ფაქტს და შესაბამის ინსპექტირების აქტზე მისი/მათი ხელმოწერის არსებობას. შესაბამისი ფორმით შედგენილი ინსპექტირების აქტზე ხელმოწერების არსებობის შემთხვევაში ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორება
6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების შესაბამისად.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. გაუწიოს „შემსყიდველს“ სრულყოფილი და დროული მომსახურება;

7.1.2. „შემსყიდველს“ გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. უზრუნველყოს ნაკლის გამოსწორება 3 (სამი) დღის ვადაში;
7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.5.დროულად განიხილოს `შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება
8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების და მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;
8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი
9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა
10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით
მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის

გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ყოველთვიურად არ განხორციელდა შესაბამისი მომსახურების გაწევა, რომელიც დადასტურებული იქნება შემოწმების აქტებით და რომლის გამოსწორების შესახებაც მიმწოდებელს ეცნობება წერილობით, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და ნაკისრი ვალდებულებები იქნება შეუსრულებელი ან არ იქნება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულებული და აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე განმეორდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და დანართებით განსაზღვრულ რომელიმე ობიექტზე არაერთგზის, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. არაერთგზის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობად განიხილება წინამდებარე ხელშეკრულებითა და დანართებით განსაზღვრულ რომელიმე ობიექტზე გამოვლენილი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობის განმეორება.

14. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა

14.1 მიმწოდებლის მიერ დოკლეველერების, კარი-ჟალუზების, შლაგბაუმების და შუშის სლაიდ-კარებების შეცვლილ ან/და შეკეთებულ ნაწილებზე საგარანტიო ვადა შეადგენს არანაკლებ 1 (ერთი) წელს. გარანტია არ ვრცელდება იმ შემთხვევისა, როდესაც დაზიანება გამოწვეულია არასწორი ექსპლუატაციით გამოწვეულ დაზიანებებზე, კერძოდ, გარეგანი მექანიკური ზემოქმედებით გამოწვეულ დაზიანებებზე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

15.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

15.1.2.ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

15.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა

16.1. ხელშეკრულების გაფორმებისას მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 %-ის ოდენობით.

16.2 იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო და გამოუთხოვადი ____ _____ საბანკო გარანტია ____, გაცემული _____ ლარის უზრუნველსაყოფად.

16.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის მოქმედების პერიოდში მიმართოს გარანტიის გამცემ ორგანოს (გარანტს) და მოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

16.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმებიდან 1 თვის ვადაში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის დაბრუნებას.

16.5. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოფს ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტიის დაბრუნებას.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2025 წლის 31 იანვრის** ჩათვლით.